



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი



KA100164325060616

05 / აგვისტო / 2016 წ.

24/ს

ბრძანება

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებისა და მე-2 პუნქტის და საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების“ მე-13 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) მიერ გასაცემი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი გადახდილ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში - სახაზინო კოდზე: 101003173, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცეს დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ.
3. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება ფონდის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული წესით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვ საჯარო ინფორმაციის მინიმალურ ოდობაზე, აგრეთვე დაინტერესებული პირის კუთვნილ ინფორმაციის მატარებელზე საჯარო ინფორმაციის ჩაწერისას, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას და ფიზიკურ პირებზე - დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.

სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორის 2016 წლის 8 აგვისტოს N25/ს ბრძანება.

4. დაევალოს ფონდის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს - ნ. შეყლაშვილს, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დირექტორი

A handwritten signature in blue ink, consisting of several overlapping loops and lines, positioned centrally on the page.

ირაკლი ჟორჯოლიანი